მშობლის–მასწავლებლის ასოციაციის წესდება

შვს ევროპული სკოლა EUROPEAN SCHOOL LTD

გადახედვის სიხშირე: წლიური
წესდება დაწერილია: PR და მარკეტინგის განყოფილების მიერ
წესდება დაწერილია: ნოემბერი, 2017
ბოლო გადახედვის თარიღი: დეკემბერი, 2018

სოფიო ბაზაძე
აკადემიური დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

მშობლის–მასწავლებლის ასოციაცია

მშობლის–მასწავლებლის ასოციაცია (PTA) მიზნად ისახავს რომ გააძლიეროს მოსწავლეთა და მშობელთა გამოცდილება და კეთილდღეობა ევროპულ სკოლაში ყოფნის დროს. PTA–ის ძირითადი მიზნებია რომ:

- წაახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.
- გააძლიეროს ურთიერობა მშობლებს, მოსწავლეებს, თანამშრომლებს, მენეჯმენტსა და საბჭოს შორის.
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის დინებას მშობლებსა და ევროპული სკოლის ადმინისტრაციას შორის.

PTA ასევე აქტიურად უჭერს მხარს ევროპული სკოლის საზოგადოებას სხვადასხვა სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებების და საქმიანობის დაგეგმვით, კოორდინაციით და ჩატარებით რაც ხელს უწყობს სკოლაში საზოგადოების შეგრძნებას, რაც მოიცავს: დახვედრის წვეულებას, საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობას, საოჯახო სპორტის დღეს, ევროპის დღეს, სადაც წახალისებულია ყველა ოჯახის მიერ მონაწილეობის მიღება.
PTA შედგება დირექტორისგან, PTA–ს კოორდინატორისგან, თავჯდომარისგან– ოთხი სხვადასხვა მშობლისგან.
PTA კომიტეტები – ქართული, IB, AHS, ევროპული საბავშვო ბაღის კომიტეტები, პროგრამის კოორდინატორები და მშობლების წარმომადგენლები PTA კომიტეტებში. ყველა მშობელი და მეურვე შეიძლება იყოს PTA–ს წევრი. კლასის წარმომადგენლები აირჩევიან კლასის პირველ შეხვედრაზე რომელიც ტარდება სექტემბერში. PTA პროექტების ეფექტური კოორდინაციისთვის და ჩატარებისთვის PTA კომიტეტი აირჩევა ყოველ სკოლის წელს. ყველა მშობელს შეუძლია დაესწროს ყოველთვიურ PTA შეხვედრებს, გაუზიარონ თავისი იდეები და ჩაერთოს მომავალი ღონისძიებების დაგეგმვაში. ეს არის საუკეთესო გზა რომ გაიგონ მეტი სკოლის შესახებ, შეიძინონ ახალი მეგობრები და ამავე დროს შეიტანონ წვლილი.

წარმომადგენლის პასუხისმგებლობები

ES–ში ყველა კლასს ყავს მინიმუმ ერთი მშობლის წარმომადგენელი PTA–ში. წარმომადგენლები არიან ძირითადი რგოლი კლასის მშობლებსა და სკოლას შორის და უნდა იცოდნენ თავისი პასუხისმგებლობების შესახებ სხვა მშობლების, მასწავლებლების და სკოლის მიმართ.

1. PTA შეხვედრებს უნდა დაესწროს მინიმუმ ერთი წარმომადგენელი თითოეული კლასიდან ან იპოვოს შემცვლელი თუ მას არ შეუძლია მონაწილეობა.
2. წარმომადგენლები ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ PTA–ს და სკოლის ღონისძიებებს, როგორიცაა შინნაცხობი პროდუქციის გაყიდვა ან PTA-ს მიერ დასპონსორებულ სხვა ღონისძიებები, მათში მოხალისეობით ან კლასში მოხალისეების მოძებნით.

3. წარმომადგენლებმა უნდა დაუჭირონ მხარი იმ კლასს რომელსაც წარმოადგენენ. ეს შეიძლება მოიცავდეს მოხალისეობას ან მოხალისეების მოძებნას საველე გასვლებისთვის, მასწავლებლების დახმარებისთვის სხვადასხვა შემთხვევაში, შინნაცხობი პროდუქციის გაყიდვაში მონაწილეობით და ა.შ,
4. ისინი ასრულებენ შემაკავშირებელი რგოლის ფუნქციას მშობლებს და PTA–ს შორის უკუკავშირის და ინფორმაციის გადაცემისთვის. როგორც კლასის წარმომადგენლები, მშობლებს უნდა ჰქონდეთ მათი იმედი რომ ილაპარაკონ მათ შეშფოთებებზე და იდეებზე რომლებიც მათ უნდათ რომ გაუზიარონ PTA–ს.

წესები და რეგულაციები

მუხლი 1 - **სახელები და მიზნები**
ევროპული სკოლის მშობლის–მასწავლებლის ასოციაცია დაფუძნებულია იმისთვის რომ ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურას შორის.

მუხლი. 2 - **ასოციაციის წევრები**
ასოციაცია შედგება სკოლის ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებისგან (მამები, დედები ან მეურვეები) და სკოლის პერსონალისგან.

მუხლი. 3 - **ასოციაციის შემადგენლობა**
ასოციაცია შედგება:

a. ქართული პროგრამის PTA კომიტეტისგან

b. IB პროგრამების PTA კომიტეტისგან

c. AHSPTA კომიტეტისგან.

d. ევროპული საბავშვო ბაღის PTA

კომიტეტი მუხლი. 4 არჩევის მეთოდები
a. კლასის წარმომადგენლების არჩევა.

არჩევნები ხდება კლასის პირველი შეხვედრის დროს რომელსაც იწვევს მასწავლებელი წლიური აკადემიური პროგრამის პრეზენტაციისთვის.

თითოეულმა კლასმა უნდა აირჩიოს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი ამას დამატებული 1 სარეზერვო (არჩევითი), რომელიც იქნება მისი შემცვლელი როცა კლასის წარმომადგენელი ვერ მიიღებს მონაწილეობას PTA–ს ღონისძიებებში (შეხვედრები, შინნაცხობი პროდუქციის გაყიდვა, კომიტეტები).

მშობელს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი კლასი.

b. მასწავლებლის წარმომადგენლების არჩევა.

PTA–ში უნდა იყოს სკოლის თითოეული პროგრამის მასწავლებლის წარმომადგენელი (ქართული პროგრამა, სამი IB პროგრამა ამერიკული უმაღლესი სკოლა, ევროპული საბავშვო ბაღი), სასურველია კოორდინატორი.

მუხლი 5 - **PTA კომიტეტი და PTA კოორდინატორი**
კომიტეტი და კლასის წარმომადგენლები დარჩებიან დაკავებულ პოზიციაზე სანამ

ჩატარდება ხალი არჩევნები სასკოლო წლის დასაწყისში.

PTA კოორდინატორი წარმოადგენს სკოლის ადმინისტრაციას და თავმჯდომარეობს PTA კომიტეტის ყველა შეხვედრას ასოციაციის წესების და რეგულაციების მიხედვით.

PTA კოორდინატორი პასუხისმგებელია PTA კომიტეტების მინიმუმ 1 ყოველთვიური შეხვედრის მოწვევაზე და მათთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემაზე რომელიც მოიცავს დღის წესრიგს 2–3 დღით ადრე დადგენილი შეხვედრის თარიღამდე. კომუნიკაცია ES–ის PTA კომიტეტებში ხორციელდება ორ ენაზე.

PTA კოორდინატორი ამზადებს თითოეული შეხვედრის პროტოკოლს და აწვდის მას PTA–ს დირექტორს – სკოლის აკადემიურ დირექტორს 7 დღის განმავლობაში.

PTA თავჯდომარე– მშობლები დაეხმარებიან PTA კოორდინატორს მისი მოვალეობების შესრულებაში და შეცვლიან მას მისი არყოფნის შემთხვევაში.

PTA ღონისძიებები

ყოველ წელს PTA უკეთებს ორგანიზებას შემდეგ ღონისძიებებს მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის:

- **დახვედრის წვეულება**- ტარდება წლის პირველ თვეში რათა მოხდეს სკოლაში ახალი მშობლების მიღება
- **საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობა** საქველმოქმედო ბაზრობა ტარდება დეკემბრის ბოლოს სკოლის მთელი საზოგადოებისთვის, სადაც მონაწილეები წარადგენენ ხელნაკეთ ნივთებს და აწყობენ შინნაცხობი პროდუქციის გაყიდვას იმისთვის რომ მოხდეს თანხის შეგროვება სხვადასხვა ბენეფიციარებისთვის
- **საოჯახო სპორტის დღე** - ღონისძიება გასართობი სპორტული თამაშებით მთელი ოჯახისთვის რომელიც ორგანიზებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის
- **ევროპის დღე**- ტარდება მაისის პირველ კვირაში სკოლის მთელი საზოგადოებისთვის და ორგანიზებულია ES–ში არსებული კულტურული მრავალფეროვნების აღსანიშნავად
- **საერთაშორისო სურსათის დღე**- ღონისძიება სადაც მოსწავლეები და მათი მშობლები სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოადგენენ ჯანსაღ ეროვნულ სურსათს
- **საოჯახო ისტორიის დღე** – ღონისძიება სადაც საერთაშორისო ოჯახები უზიარებენ თავის ოჯახის ისტორიებს, კულტურის წარმომავლობას და ტრადიციებს